საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N304 2024 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტროს) ინფრასტრუქტურის აღჭურვის მიზნით „მსოფლიო ბანკის“ მიერ განსაზღვრული პროცედურებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ (ს/ნ: 202886788) მიეცეს უფლება, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტროს) ინფრასტრუქტურის აღჭურვის (ვაგონებისა (97 ერთეული) და სასწავლო სიმულატორის) სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს „მსოფლიო ბანკის“ მიერ განსაზღვრული პროცედურებით, 205 000 000 (ორას ხუთი მილიონი) ევროს (დღგ-ის გარეშე) ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე